

დასკვნა

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“
საქართველოს კანონის პროექტზე, საქართველოს მთავრობის „2019
წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“
მოხსენებასა და დოკუმენტზე „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და
მიმართულებები 2020-2023 წლებისათვის“

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო
კომიტეტმა მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს განიხილა
საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი
კანონპროექტი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესახებ“, მოხსენება „2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ და დოკუმენტი „ქვეყნის
ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2020-2023
წლებისათვის“.

წარმოდგენილი საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის პროექტი შემუშავებულია მთავრობის პროგრამით
განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით, რომელიც
კვლავაც ორიენტირებულია როგორც მოსახლეობის სოციალურ
დაცვაზე, ისე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. საქართველოს

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად პრიორიტეტებად რჩება მოსახლეობის ჯანდაცვის, სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფის, განათლების სფეროები, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება და აშ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 368,6 მლნ ლარით და შეადგენს 4 347,0 მლნ ლარს (ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების 30,6%-ს), საიდანაც 3 126.0 მლნ ლარი გათვალისწინებულია სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის. კერძოდ, 2 230.0 მლნ ლარი მიიმართება მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისთვის, რომლის ფარგლებში 2020 წლის 1 იანვრიდან გათვალისწინებულია ასაკით პენსიონერთა პენსიების 20 ლარით გაზრდა, ასევე 20 ლარით გაიზრდება მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული და 18 წლამდე ასაკის შშ პირების (880 ათასზე მეტი მოქალაქე) სოციალური გასაცემლები, რაზედაც მიიმართება 220 მლნ ლარზე მეტი. ამასთან, 2020 წლის 1 ივლისიდან, დამატებით, კიდევ 30 ლარით გაიზრდება 70 წლის და უფრო მაღალი ასაკის პირთა პენსია (სულ 50 ლარით), მკვეთრად გამოხატული და 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა (450 ათასზე მეტი მოქალაქე) სოციალური გასაცემლები, რაზედაც დამატებით მიიმართება 80 მლნ ლარი; პარალელურად დაინერგება საპენსიო გასაცემლების რეგულარული ზრდის წესი. დევნილთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფისათვის გამოყოფილია ჯამურად 120

მლნ ლარამდე; სოციალურ შეღავათებზე მაღალმთიან დასახლებაში გათვალისწინებულია 58.3 მლნ ლარი; დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებისთვის - 200 მლნ ლარი და ა.შ.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 1 636,0 მლნ ლარი. ამასთან, საჯარო სკოლების უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლების (43 ათასამდე მოქალაქე) დანამატი 2019 წლის 1 ოქტომბრიდან გაიზრდება 150 ლარით და 2020 წელს ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან კიდევ დამატებით 150 ლარით, აღნიშნულ მასწავლებელთა ხელფასების ზრდაზე 2020 წელს ჯამში მიიმართება 140 მლნ ლარზე მეტი; 2020 წლის 1 სექტემბრიდან 100 ლარით გაიზრდება ასევე, საბავშვო ბაღებში დასაქმებულთა ანაზღაურება (მასწავლებლები, აღმზრდელები და სხვა, 32 ათასზე მეტი მოქალაქე), რაზედაც მიიმართება 15 მლნ ლარამდე, ხოლო საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიიმართება 280 მლნ ლარზე მეტი და ა.შ.;

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის იგეგმება 2 071.6 მლნ ლარი, რაც 71.6 მლნ ლარით მეტია 2019 წელს გათვალისწინებულ ასიგნებებზე.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 353 მლნ ლარი, რაც 12.9 მლნ ლარით მეტია 2019 წელს გათვალისწინებულ ასიგნებებზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებები იზრდება 3.4 მლნ ლარით და შეადგენს 770 მლნ ლარს და ა.შ.

გათვალისწინებულია ჯარისკაცების, მეხანძრე-მაშველების, პოლიციელების და მათთან გათანაბრებული პირების, ხელფასების ზრდა, რაზედაც მიიმართება 50 მლნ ლარამდე. კერძოდ, მეხანძრე-მაშველებს, პოლიციელებს და მათთან გათანაბრებულ პირებს ხელფასები გაეზრდებათ 2020 წლის 1 ივლისიდან საშუალოდ 125 ლარით; ჯარისკაცებისთვის ხელფასების ზრდა გაგრძელდება 2019 წლის ბოლომდე ეტაპობრივად, მათი წოდებების შესაბამისად;

2020 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად მიიმართება 3.7 მლრდ ლარზე მეტი;

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით კვლავაც გათვალისწინებულია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, რომელიც შეადგენს 300,0 მლნ ლარს, ხოლო ქ. თბილისის ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის - 100 მლნ ლარი. მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი განსაზღვრულია 20.0 მლნ ლარის ოდენობით. ამასთან, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები განსაზღვრულია 131 მლნ ლარით, საიდანაც 123 მლნ ლარი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერებია. წარმოდგენილი პროექტით კვლავაც გათვალისწინებულია დღგ-ის 19%-ის, ანუ 1 016.5 მლნ ლარის

თვითმმართველობებისათვის გადაცემა. მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია მთელი რიგი სხვა პროგრამებიც, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყნის შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას.

წარმოდგენილი 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) გათვალისწინებულია 48 513.5 მლნ ლარის დონეზე, რაც 2019 წლის შესაბამის მოსალოდნელ მაჩვენებელზე 3 655.9 მლნ ლარით ანუ 8,2%-ით მეტია. 2020 წლისთვის მშპ-ს რეალური ზრდის ტემპის საპროგნოზო მაჩვენებელი გათვალისწინებულია 5%-ის დონეზე, თუმცა მშპ-ს რეალური ზრდის ტემპი საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში - 2021-2023 წლებში იმატებს და 5.5%-ს შეადგენს, ხოლო ნომინალურ გამოსახულებაში 2023 წლისთვის 62 248.6 მლნ ლარს მიაღწევს. სამომხმარებლო ფასების ინდექსი 2020 წლისთვის იგეგმება 3%-ის დონეზე, ასევე, მშპ-ის დეფლატორი 2020 წლისთვის იგეგმება 3%-ის დონეზე და აღნიშნული მაჩვენებლები შენარჩუნდება მთელი საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში.

2020 წელს გათვალისწინებულია ექსპორტის ზრდის წინმსწრები ტემპი იმპორტის ზრდის ტემპთან შედარებით. კერძოდ, მთლიანი ექსპორტის წლიური ზრდის ტემპი მიაღწევს 11.2%-ს, საქონლის ექსპორტის მაჩვენებელი - 12.7%-ს, მაშინ, როდესაც იმპორტის წლიური ზრდის ანალოგიური მაჩვენებლები გათვალისწინებულია შესაბამისად 10.3%-ისა და 10.1%-ის დონეზე.

ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავაც რჩება საინვესტიციო საქმიანობა და მისი ხელშეწყობა, რაც ინვესტიციების ზრდაში ვლინდება. 2020 წლისთვის ინვესტიციების მოცულობა გათვალისწინებულია 19 384.6 მლნ ლარის ოდენობით, ნაცვლად 2019 წლის მოსალოდნელი 18 105.7 მლნ ლარისა. ინვესტიციების მატება გაგრძელდება საშუალოვადიან პერიოდში და 2023 წლისთვის 25 135.0 მლნ ლარს მიაღწევს. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში თანდათანობით იზრდება კერძო ინვესტიციების მოცულობები, რაც იმის მანიშნებელია, რომ მთავრობა აგრძელებს საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს განვითარებისადმი ხელშეწყობას. კერძოდ, 2020 წლისთვის გათვალისწინებული ინვესტიციების მთლიან მოცულობაში 80.8% ანუ 15 836.6 მლნ ლარი კერძო ინვესტიციებზე მოდის. ეს მაჩვენებლები მთელი საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში თანდათანობით იზრდება და 2023 წლისთვის შესაბამისად 82,9%-სა და 20 845 მლნ ლარს მიაღწევს. 2023 წლისთვის მოსალოდნელი კერძო ინვესტიციების ოდენობა მიმდინარე წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 42.5%-ით, ანუ 6 219.3 მლნ ლარით გადააჭარბებს. საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში ასევე გაიზრდება მთავრობის ინვესტიციების მოცულობაც და 2023 წლისთვის 4 290 მლნ ლარს მიაღწევს, რაც მიმდინარე წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 23.3%-ით, ანუ 810 მლნ ლარით გადააჭარბებს.

2020 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები იგეგმება 14 040 მლნ ლარის დონეზე, რაც 1 083.5 მლნ ლარით მეტია 2019 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით იზრდება ასევე გადასახდელების ოდენობა. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2020 წლისთვის იგეგმება 14 211.9 მლნ ლარის დონეზე, რაც 898.8 მლნ ლარით მეტია 2019 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული შემოსულობებისა და გადასახდელების ასეთი ოდენობებიდან გამომდინარე, საგეგმო წლისთვის გათვალისწინებულია ნაშთის გამოყენება 171.9 მლნ ლარის ოდენობით.

საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებში მნიშვნელოვანი წილი კვლავ გადასახადებიდან მიღებულ შემოსავლებს უკავია და შეადგენს 10 320 მლნ. ლარს, რაც 2019 წლის გეგმურ მაჩვენებელს 675 მლნ ლარით აჭარბებს. 2020 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადებიდან ყველაზე მაღალი წილი (42%-ი) დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდის, რომლის ოდენობა (4 333.5 მლნ ლარი) წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 262.5 მლნ ლარით აჭარბებს. მთლიანობაში, გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების წილი 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 73.5%-ს აღწევს და შემოსავლების 93.5%-ს აჭარბებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით კვლავ გრძელდება ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების ოპტიმიზაციის პროცესი. კერძოდ, შენარჩუნებულია მიმდინარე ხარჯების მშპ-ის მიმართ კლებადი ტენდენცია. სახელმწიფო ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების წილი მშპ-ის მიმართ 2020 წელს მცირდება 22.0 %-მდე (2019 წელს - 22.3%-ი). მნიშვნელოვანია, რომ ასეთ პირობებში გათვალისწინებულია სამთავრობო ხარჯების (შრომის ანაზღაურება და საქონელი და მომსახურების ხარჯები) ოპტიმიზაცია, რომლის წილი სახელმწიფო ბიუჯეტში მშპ-ს მიმართ იგეგმება 5,9%-ის დონეზე, რაც 2019 წლის შესაბამის მაჩვენებელზე (6,1%) 0.2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია.

წარმოდგენილი პროექტით 2020 წლისთვის ბიუჯეტის საოპერაციო სალდოს მოცულობა განისაზღვრება 364.7 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო (დეფიციტი) – 1 716.9 მლნ ლარით. სახელმწიფო ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდოს შეფარდებითი მაჩვენებელი მშპ-ს მიმართ არ იზრდება და რჩება მიმდინარე წლის - 2.6%-ის დონეზე. ასევე, ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო შეადგენს მშპ-ის -2.6%-ს, რაც დაბალია საქართველოს ორგანული კანონით „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ განსაზღვრულ 3%-იან ზღვართან შედარებით.

2020 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით კვლავ წარმოდგენილია ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ღონისძიებების ფარგლებში ეკონომიკური კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების“ მუხლიდან განსახორციელებელი

ლონისძიებების შესახებ, „კაპიტალური პროექტების“ შესახებ, მათ შორის პროექტებისა და პროგრამების განმახორციელებლების გამოყოფით, ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები, „ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზი“, მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ბიუჯეტის კანონპროექტთან ერთად დანართების სახით, რაც ზრდის საბიუჯეტო სახსრების ტრანსპარენტულობისა და გამჭვირვალობის დონეს. ამასთან, დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ დანართში „ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზი“, ბიუჯეტის პირველივე პროექტთან ერთად წარმოდგენილია ასევე სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია და შესაბამისი შეფასებები, რისი წარმოდგენაც კომიტეტს აუცილებლად მიაჩნდა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ მოხდა კომიტეტში შემოსული დასკვნების განხილვა და შეფასება. ამ დასკვნების, საკუთარი შენიშვნებისა და მოსაზრებების საფუძველზე საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიმართ კომიტეტს აქვს შემდეგი შენიშვნები და წინადადებები:

1. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ მიმდინარე წლის განვლილი პერიოდის ეკონომიკური ზრდის წინასწარი მაჩვენებლის გათვალისწინებით მოსალოდნელია საგეგმო წელს მშპ-ს ნომინალური ზრდის ტემპი

დიდი ალბათობით იყოს უფრო მაღალი, ვიდრე 2019 წლის საგემო მაჩვენებელია. ხოლო მიმდინარე წლის მშპ-ს მაღალი მაჩვენებელი შესაძლებლობას მოგვცემს, 2020 წლისათვის მშპ-ს მოცულობა იყოს დაგეგმილზე მეტი, რაც დამატებითი საბიუჯეტო ფინანსური რესურსების მობილიზაციის საშუალება იქნება. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მთავრობამ ამ მიმართულებით უნდა გაგრძელოს მუშაობა.

2. ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით მიზანშეწონილია ფინანსური სახსრები მიმართული იყოს პრიორიტეტულად ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსებისკენ. გარდა ამისა, აღნიშნული პროგრამების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, საჭიროა მოხდეს დამატებით ფინანსური რესურსის მობილიზება თვითმმართველობებისთვის;

3. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს და ეტაპობრივად გაგრძელდეს სოციალური მუშაობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად სოციალური მუშაკების რაოდენობისა და მათი ხელფასების ზრდა;

4. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი 2020 წლისთვის მნიშვნელოვნად ფართოვდება. შესაბამისად, სამსახურისთვის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით გამოყოფილი

ასიგნება 2019 წლის გეგმასთან შედარებით გაზრდილია. მანდატით დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესასრულებლად დამატებითი თანხების საჭიროების შემთხვევაში, მიზანშეწონილია გაიმართოს სამუშაო შეხვედრა იურიდიული დახმარების სამსახურთან ბიუჯეტის დაზუსტების მიზნით;

5. 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ფინანსური სახსრები, რომლებიც მიმართულია შშმ პირების ჯანმრთელობის დაცვისა და მხარდაჭერისკენ, გადანაწილდეს იმგვარად, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მოხდეს შშმ ბავშვებისთვის სტომატოლოგიური მომსახურება. ასევე, შესაბამისი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილ იქნეს 2020 წლისთვის დაგეგმილ პარაოლიმპიურ თამაშებში საქართველოს პარაოლიმპიელების გაზრდილი ჩართულობა.

6. სახელმწიფო ქვეპროგრამების „ტუბერკულოზის მართვა“ და „აივ ინფექცია შიდსი“, გლობალური ფონდის პროექტიდან ხდება ფინანსური ვალდებულებების თანდათანობითი გადმოხარება სახელმწიფოს მიერ, რაც მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან დამატებით თანხებს. პროექტების შეუფერხებელი განხორციელებისთვის მიზანშეწონილია აღნიშნული ხარჯების დაფარვა მოხდეს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებებიდან;

7. სახელმწიფო ქვეპროგრამა „უსაფრთხო სისხლი“ ქვეყანაში მაღალტექნოლოგიური NAT (ნუკლეინის მჟავას ტესტირების) ტესტირების სისხლის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, ცენტრის მიერ გლობალური ფონდის ფინანსური მხარდაჭერით 2019 წელს შესყიდულ იქნა ნუკლეინის მჟავას ტესტირების (NAT) ორი აპარატი, რომელიც წარმოადგენს სისხლის ტესტირების უახლეს მაღალტექნოლოგიურ მეთოდოლოგიას. აღნიშნული ტექნიკური აღჭურვილობით მიმდინარე წლის ბოლოს თბილისის სისხლის ბანკებში პილოტურად დაგეგმილი იყო სისხლის ცენტრალიზებულად ტესტირების პროექტის პილოტირება, ხოლო 2020 წლის დასაწყისიდან სავალდებულოდ დანერგვა ქვეყნის მასშტაბით. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია პროგრამის ბიუჯეტის გაზრდა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის დამატებითი ასიგნებების გამოყოფის გარეშე;

8. 2020 წლიდან დაგეგმილია სახელმწიფო ქვეპროგრამის დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის პროგრამის გაფართოვება ქვეყნის მასშტაბით. შესაბამისად, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში გამოიძებნოს რესურსები ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებლად შესრულების მიზნით.

9. მომდევნო წელი სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად წარმოადგენს ოლიმპიური თამაშების წელს. ამ სპორტულ ღონისძიებებში ქართველი სპორტსმენების წარმატებული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია „ოლიმპიური მოძრაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული 14 მლნ ლარი გადანაწილდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ოლიმპიური კომიტეტისა და ფედერაციების ეფექტიანი ფუნქციონირება.

10. წარმატებულ მოსწავლეთა წახალისებისთვის განსაკუთრებით ტექნოლოგიური საგნების მიმართულებით მათი რაოდენობის ზრდიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს გარკვეული რესურსი, რათა საქართველომ უმასპინძლოს საერთაშორისო ფორუმს, კონფერენციას, ან ოლიმპიადას, რაც სამომავლოდ კიდევ უფრო გაზრდის ამ საგნებით (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ინფორმატიკა) დაინტერესებულ მოსწავლეთა რიცხოვნობას.

11. საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში შეტანილი ცვლილებების გამო, მიზანშეწონილია განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება მომუშავეთა რიცხოვნობაში, კერძოდ, პროგრამით “საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო საქმიანობა“ (პროგრამული კოდი 01 01 01) გათვალისწინებული მომუშავეთა რიცხოვნობა 382 ერთეული, შეიცვალოს 387-ით, ხოლო პროგრამით „საკანონმდებლო საქმიანობის

ადმინისტრაციული მხარდაჭერა“ (პროგრამული კოდი 01 01 03) გათვალისწინებული მომუშავეთა რიცხოვნობა 260, შეიცვალოს 271 ერთეულით;

12. მიზანშეწონილია, სსიპ ახალგაზრდული სააგენტოს მიერ თავისი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელების მიზნით გათვალისწინებული იქნეს ფინანსური რესურსები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდული მიმართულების გაძლიერებას;

13. მიზანშეწონილია, პროფესიული განათლების მიმართულებით გათვალისწინებული 4.16 მლნ ლარის ზევით გამოიყოს დამატებითი ფინანსური რესურსები, მათ შორის რეგიონებში ახალი კოლეჯების მშენებლობისათვის;

14. კულტურის და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებების პროექტის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია გაიზარდოს პროექტით გათვალისწინებული დაფინანსების ოდენობა, მათ შორის რეგიონებში ამ მიმართულების ინფრასტრუქტურულ პროექტებზე;

15. სოფლის მხარდაჭერის ფონდის მიზნებიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი ცალკე გამოყოფა რეგიონული განვითარების ფონდიდან ისე, რომ ამ ფონდის მოცულობა არ შემცირდეს. ამასთან, სასურველია გაიზარდოს რეგიონული განვითარების ფონდის თანხები;

16. „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“ მიმდინარე წლის

20 სექტემბრის N 5003-Is საქართველოს პარლამენტის დადგენილებით გათვალისწინებული სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესაბამისად, მიზანშეწონილია, გაიზარდოს ვეტერანებისთვის კანონით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის შეღავათი. ამასთანავე, გადაიხედოს მათი სოციალური დახმარების ოდენობის ეტაპობრივი ზრდის შესაძლებლობები;

17. მიზანშეწონილია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული დევნილი ოჯახებისთვის ზამთრის სეზონში სათბობი საშუალებებით უზრუნველყოფისთვის გამოიძებნოს შესაბამისი რესურსები;

18. სოფლის მეურნეობა ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია. დარგის განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილია გადაიხედოს ცალკეული პროგრამებისა და ქვეპროგრამების საბიუჯეტო დაფინანსების ოდენობის გაზრდის შესაძლებლობები, ან/და გამოთავისუფლებული რესურსების არსებობის შემთხვევაში, მოხდეს ეფექტური გადანაწილება პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიხედვით;

19. მიზანშეწონილია საჯარო სექტორში თანამშრომლებისთვის მომდევნო წლებში გამოიძებნოს შრომის ანაზღაურების გაზრდის შესაძლებლობები, რათა თავიდან იქნას აცილებული კვალიფიკაციური კადრების გადინება.

20. საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის სამინისტროს კოორდინირებული მოქმედებით შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გარკვეული სერვისების მიწოდებას საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვისაც;

21. საქართველოს ახალგაზრდა ელჩების პროგრამა შესაძლებლობას იძლევა საზღვარგარეთ მცხოვრებ 18-დან 29 წლამდე საქართველოს მოქალაქეები ერთწლიანი მანდატით გახდნენ „ახალგაზრდა ელჩი“ ადგილსამყოფელ ქვეყანაში და საკუთარი წვლილი შეიტანოს საქართველოს პოპულარიზაციაში, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში ახალგაზრდა ელჩების ამბასადორიალის ჩატარებას;

22. ჩვენი ქვეყნის საელჩოს საფრანგეთში არ გააჩნია საკუთარი შენობა, შესაბამისადა უწყებებმა განიხილონ შესაძლებლობა: მემორიალური ცენტრის პარალელურად, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა განთავსდეს ლევილის მამულში. ამ შემთხვევაში ლევილის მამულს ექნება, არა მხოლოდ დიდი კულტურულ-ისტორიული, არამედ პოლიტიკური დატვირთვაც ქართული სახელმწიფოსათვის ევროპაში.

23. მიზანშეწონილია, ბიუჯეტის კანონპროექტში წარმოდგენილი მთავრობის ვალი გაანგარიშებული იქნეს „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად;

24. კანონის პროექტზე თანდართული ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების დოკუმენტში (საბაზო სცენარით) ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს მშპ-ს 2.7%-ს და აკმაყოფილებს ორგანული კანონით დადგენილ 3.0%-იან ზღვარს. ხოლო ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარებით წარმოდგენილი მაჩვენებლები არ მოიცავს ინფორმაციას ერთიანი ბიუჯეტის პოტენციური მაჩვენებლების შესახებ, მათ შორის, საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელი ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტისა და მისი დაფინანსების წყაროების თაობაზე;

25. 2020 წლის ბიუჯეტის პროექტზე თანდართულ ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია პოზიტიური და ნეგატიური შოკების შესახებ, ზოგადი ხასიათისაა. მიზანშეწონილია, საერთაშორისო ორგანიზაციებთან გაგრძელდეს მუშაობა დოკუმენტის შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებით, რათა წარმოდგენილ იქნეს ის კონკრეტული ინდიკატორები, რომლითაც შესაძლებელი გახდება დოკუმენტში მითითებული შოკების რეალიზების შედეგების ანალიზი და შეფასება;

26. წარმოდგენილი კანონპროექტით „პროცენტის“ სახით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2019 წელთან შედარებით იზრდება 10 მლნ ლარით (11.8%-ით) და შეადგენს 95 მლნ ლარს. ამასთან, კანონპროექტით გათვალისწინებულია ნაშთის გამოყენება 172 მლნ ლარის ოდენობით, რაც ნაშთის რესურსის მოცულობას ამცირებს. შესაბამისად, „პროცენტის“ სახით მისაღები შემოსავლის

საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდა საჭიროებს დამატებით დასაბუთებას;

27. დივიდენდებიდან მისაღები შემოსავლების რეალისტური საპროგნოზო მაჩვენებლის განსაზღვრის მიზნით მიზანშეწონილია, დივიდენდების გამანაწილებელი კომისია შეიკრიბოს დროულად, რათა მოხდეს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების ასახვა დივიდენდების საპროგნოზო მაჩვენებელში;

28. კანონპროექტზე თანდართულ „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი მონაცემები ყველა საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) კონტრაქტის შესახებ. ფისკალური წნეხის სრულყოფილად შესაფასებლად, მიზანშეწონილია, საერთაშორისო ორგანიზაციებთან გაგრძელდეს მუშაობა ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის შემდგომ გაუმჯობესებაზე და შესაბამისი ფორმით წარმოდგენილ იქნეს შემდგომი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად;

29. ბიუჯეტის კანონპროექტს თან ახლავს მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი, თუმცა იგი არ ითვალისწინებს სახელმწიფო საწარმოებისა და PPP-ებისგან (საჯარო და კერძო თანამშრომლობის კონტრაქტი) მოსალოდნელ პირობით ვალდებულებებს, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია წარმოდგენილი ცვლადებისა და შოკების რეალისტურობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, უნდა გაგრძელდეს მუშაობა აღნიშნული დოკუმენტის დახვეწის მიმართულებით;

30. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უკვე რამდენიმე წელია ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით, რომელიც თანდათანობით იხვეწება და წარმოდგენილია გაუმჯობესებული ფორმატით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული პროგრამებისა და პროექტების ინდიკატორები (როგორც რაოდენობრივი ისევე ხარისხობრივი) ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ძალიან ზოგადია, რაც პროგრამებისა და პროექტების დაფინანსების ოდენობების რაციონალურობა და შესაძლო ეფექტიანობის შესაძლებლობას არ იძლევა. შესაბამისად, მიზანშეწონილია გაგრძელდეს მუშაობა აღნიშნული მაჩვენებლების შემდგომი დახვეწისა და სრულყოფისათვის.

31. მიზანშეწონილია, საქართველოს მთავრობამ პროფილურ კომიტეტებთან კონსულტაციებით განსაზღვრონ 3 საპილოტე პროგრამა, რომლებზეც მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისი ინდიკატორები და მიზნობრივი მაჩვენებლები ასახული იქნება საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის პროგრამულ დანართში.

32. ასევე, მნიშვნელოვანია წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის თაობაზე ბიუჯეტის პროექტის შედგენისას

სამინისტროების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით ეთანხმება საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე
პაატა კვიფინაძე

